### მოგების ანგარიშის კომენტარი

წინამდებარე ცხრილში 2.2 მოცემულია მოზვრების ხორცის წარმოების მარჟინალური მოგების ანგარიში საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული – მომთაბარე მეურნეობების მიხედვით. მასში მოყვანილი ციფრები წარმოადგენენ ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებლებს. ცხრილში ნაჩვენებია კალკულაცია 2 წლიწადში როგორც 1 სული პირუტყვისათვის, ასევე მთლიანი ნახირისათვის (ჩვენს შემთხვევაში 10 სულისათვის, ბოლო – მარჯვენა სვეტი). ანგარიშის შედეგად მიღებული ზოგიერთი ციფრი დამრგვალებულია.



დეტალურად განვიხილოთ ცხრილის 2.2. თვითოეული სტრიქონი ცალ-ცალკე:

**სტრიქონი 1**– გასასუქებელი ხბოს საწყისი წონაა 70 კგ.

**სტრიქონი 2** – სარეალიზაციო მოზვრებს კლავენ მაშინ, როცა მათი ცოცხალი წონა საშუალოდ მიაღწევს 300 კგ-ს.

**სტრიქონი 3** – მოზვრის ნამატი 2 წლის განმავლობაში შეადგენს 300 კგ–70 კგ=230 კგ.

**სტრიქონი 4** – მოზვრის სუქების პერიოდი საშუალოდ გრძელდება 2 წელი, ანუ 730 დღე.

**სტრიქონი 5** – გამოზრდისას და სუქებისას მოზვრის საშუალო დღიური წონანამატი შეადგინა (230კგ/730 დღე)*1000=315 გრამი/დღე.

**სტრიქონი 6** – დაკლული საქონლის გამოსავლიანობაა 45%.

**სტრიქონი 7** – ხორცის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 300კგ*45%*8 ლარი/კგ = 1080 ლარი/1 მოზვერი, ანუ მთლიანი ნახირისათვის 1080 ლარი/1 მოზვერი*10 სული= 10800 ლარი/2 წელი.

შესაძლო შემოსავალი ნაკელის რეალიზაციიდან ჩვენს მაგალითში განხილული არ არის.

მომდევნო სტრიქონებში განხილულია ცვლადი დანახარჯები:

**სტრიქონი 8** – ორი ზამთრის კვებაზე მოზვრის კვება–დღეების რაოდენობად აღებულია 150+150=300 დღე. თივის კვების ნორმაა დაახლოებით 8,3 კგ/1მოზვერი–დღეში. ე.ი. მოზვერს საკვებად ჭირდება 8,3 კგ/დღე* 300 დღე=2500 კგ თივა. თუ თივის ფასს საშუალოდ ავიღებთ 5 თეთრს 1 კგ-თივაზე, მაშინ საკვების ფულადი ხარჯი იქნება 2500 კგ*0,05 ლარი/კგ=125 ლარი/1 მოძვერზე. მთლიანი ნახირისათვის 125 ლარი/1 მოძვერზე*10 სული =1250ლარი/2წელი.

**სტრიქონი 9** – 70 კგ-იანი ხბოს ღირებულება აღებულია 170 ლარი.

**სტრიქონი 12 –15** – მოცემულია სხვადასხვა ზედდნადები ხარჯები.

**სტრიქონი 16** – სულ ცვლადი დანახარჯების ჯამი შეადგენს 330ლარი/1მოზვერი, ანუ მთლიანი ნახირისათვის 330ლარი/1მოზვერი* 10 სული=3300 ლარი/2 წელი.

**სტრიქონი 17** – საბოლოოდ მარჟინალური მოგება 1 მოზვერზე 2 წელიწადში ტოლია მთლიან შემოსავალს მინუს ცვლადი დანახარჯები: 1080 – 330=750 ლარი/1 მოზვერი, მთლიანი ნახირისათვის 10800–3300=7500 ლარი/2 წელი.

**სტრიქონი 18** – მარჟინალური მოგება 1 წელიწადში ტოლი იქნება 750/2=375 ლარი/1მოზვერი –წელი. მთლიანი ნახირისათვის 3750 ლარი/წელი.


საინფორმაციო-კონსულტანტები

ოთარ ქობალია - აგრონომი 599 54 63 62
ნუგზარ ოქროპირიძე - აგრონომი 599 89 89 50
გიორგი კალანდაძე - ვეტერინარი 599 54 69 84
შალვა ანანიძე - ვეტერინარი 599 89 89 61
მაგლინა ქილაძე - ზოოინჟინერი 599 89 89 60
ლევან ჩიქოვანი - ზოოინჟინერი 599 74 37 43



აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ქედის აგროსერვის ცენტრი


## საინფორმაციო ბუკლეტი



# მეძროხეობა


ბათუმი
2014

## მსხვილი რქოსანი პირუტყვის (მოზარდის) გამოზრდა და სუქება

მეძროხეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია მსოფლიოში. იგი იძლევა მოსახლეობის მიერ მოხმარებული რძის და რძის პროდუქტების 84,5% და ხორცის 25,5%-ს. ფურის სამეურნეო გამოყენება 10–15წლის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე მაღალი წველადობა აქვს მე- 4 მოგებაზე. 12 წლის შემდეგ ფურის შენახვა პროდუქტიულობის თვალსაზრისით არამომგებიანია. საქართველოში ძროხის წამყვანი ჯიშია კავკასიური წაბლა, შვიცის, ველისა და მთის წითელი საქონლის ნაჯვარი. რაც შეეხება ბოლო პერიოდის ჯიშობრივ სტრუქტურას 50%-ზე მეტი უსისტემო შეჯვარებითაა მიღებული. გაურკვეველი წარმოშობის სულადობა, დაბალპროდუქტიულობის ერთ-ერთი მიზეზია. აჭარაში აგროსერვისცენტრის ხელმძღვანელობით დანერგილია და ფუნქციონირებს ყველა რაიონში ხელოვნური დათესლის სადგურები, რომლებიც ახდენენ მაღალპროდუქტიული ჯიშის სპერმით განაყოფიერებას.

**მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვება** –კვება ცხოველის ზრდა-განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. პრაქტიკით დადგენილია მაღალპროდუქტიული ჯიშების შექმნა მხოლოდ სრულფასოვანი და მიზანშეწონილი კვების საფუძველზეა შესაძლებელი.

**მოზარდის სუქება–** საქართველოში უმთავრესად გამოყენებულია მომთაბარე მეცხოველეობაში.მთის საძოვრებზე მეცხოველეები იყენებენ ნაკვეთ მორიგეობით ძოვებას. პირუტყვის ჯგუფი გადაყავთ ერთი საძოვრიდან მეორეზე და პირიქით. ხბო რომელიც გამიზნულია სუქებისათვის მოგებიდან 6-თვემდე უნდა იმყოფებოდეს დედასთან. 6-თვის შემდეგ ხდება ასხლეტა და გადაყავთ მოსამზადებელ ჯგუფში 10–12 თვის მოზარდს აყენებენ სუქებაზე. მოზარდის სუქებისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენ გრამ წონამატის მიღებას ვარაუდობენ. მაგალითად 70–100კგ–იან მოზარდის სუქებისას 400გრ მატებისათვის საჭიროა 3.5 საკვები ერთეული. ამ საკვებ ერთეულს ჩვეულებრივად საკვების სახეების მიხედვით თუ გადავიყვანთ ფიზიკურ წონაზე საჭიროა კონცენტრატის ნარევი 1,5კგ მწვანე მასა 10კგ ან თივა 3კგ. სუქების მეორე და მესამე პერიოდში საკვები ემატება წონაში მატების ინტენსივობის შესაბამისად. ზრდასრული პირუტყვის სუქებისას (200–250კგ) საჭიროა 5 საკვები ერთეული ანუ 2კგ მარცვლეულების ნარევი, მწვანე მასა 15კგ ან თივა 4–5კგ. სუქების მეორე და მესამე პერიოდში აუცილებელია საკვების მომატება სუქების ინტენსივობის შესაბამისად. სუქებისას შეიძლება საკვების შემცირება მეორე კომპონენტის გაზრდის ან სხვა საკვების დამატების ხარჯზე. სუქებიდან მოხსნა ხდება 16–18 თვის ასაკში, 300კგ მიღწევის შემდეგ.მეხორცული ჯიშები გამოირჩევა საკვების კარგი ანაზღაურებით აქვს საუკეთესო ხარისხის, გემოვნების, მარმარილოსებური ხორცი.

**პროფილაქტიკა და მკურნალობა–** მოზარდში გვხდება ინფექციური, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებები. სუქებაზე დაყენებულ მოზარდს სჭირდება პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება ჯილეხზე და პასტერელოზზე ვაქცინით. ასევე საჭიროა ჰელმინთურ დაავადებებზე პროფილაქტიკა წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე. (ფასციოლოზზე და დიქტიოკაულიოზზე). რომელთა საწინააღმდეგოდ გამოიყენება ალბენდაზოლი, ვიტოქსი, ალბენი, ფენბექსი. ასევე ბოლო პერიოდში გამოიყენებება საინექციო ივერმეკი, პრომექტინი, ბიომექტინი 1გრამი 50კგ ცოცხალ წონაზე. საჭიროა აგრეთვე მოზარდის დამუშავება ექტოპარაზიტებზე. არაგადამდები დაავადებების შემთხვევაში საჭიროა ვეტერინარი ექიმის დანიშნულებით მკურნალობა. დაბალ ზონებში პიროპლაზმოზის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. პირუტყვის დამუშავება ექტოპარაზიტებზე და საპროფილაქტო პირიტექსით, ფატრიბანილით და აზიდინით. საჭიროა სადგომებში დავიცვათ სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დეზინფექცია.

### მოზვერების გამოზრდა–სუქების მარჟინალური მოგების ანგარიში

(ექსტენსიური–მომთაბარე მეურნეობა)

ერთეული; 1 მოზვერი –2 წელი ცხრილი 2.2

**საწყისი მონაცემები**

მოზვერების გამოზრდა–სუქების მარჟინალური

| | | |
|---|---|---|
| 1 | 6 თვიანი ხბოს საწყისი წონა | 70 კგ |
| 2 | სარეალიზაციო მოზვრის ცოცხალი წონა | 300 კგ |
| 3 | წონამატი სუქებისას | 230 კგ |
| 4 | სუქების ხანგრძლივობა | 730 დღე |
| 5 | საშ დღიური წონამატი გამოზრდისას და სუქებისას | 315 გ/დღ |
| 6 | საკლავის გამოსავლიანობა | 45% |

### 1 სული მთლიანი ნახირი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | შემოსავალი<br>სულ შემოსავალი ხორცის რეალიზ. | რაოდენ. კგ | ფასი, ლარი.კგ | სულ თანხა ლარი/სულზე | სულადობა 10 სული |
| | | 135 | 8 | 1080 | 10800 |
| | ხარჯები | | | | |
| 8 | მოზვრის საკვები თივა 2 ზამთრის სეზონზე | 2500 | 0,05 | 125 | 1250 |
| 9 | 2 ზამთრის კვებ-დღეები 300 დღე | | | | |
| 10 | 70 კგ-იანი ხბოს ღირებულება | | | 250 | 2500 |
| 11 | ზედნადები ხარჯები | | | | |
| 12 | ტრანსპორტი და რეალიზაცია | | | 10 | 100 |
| 13 | ვეტმომსახურება | | | 26 | 260 |
| 14 | ქირაობა, წყალი | | | 10 | 100 |
| 15 | ფერმის მიმდინარე რემონტი | | | 10 | 100 |
| 16 | სულ ხარჯები | | | 350 | 3500 |
| 17 | მარჟინალური მოგება 1 წლისათვის | | | 375 | 3750 |



